საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-11/97

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი, 2018 წ.

,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-11/90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. თბილისში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 24 ოქტომბრის N02-06/567 ბრძანების და სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილრბის უფროსის ლაშა მიქელაძის 2018 წლის 25 ოქტომბრის №1380588 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.. ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამი „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-11/90 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროგრამის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით (მათ შორის შემოდგომის სემესტრში 10 000 ლარი, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 20 000 ლარი).“

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა“ და ,,კონკურსები“) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი გურამ გვარიშვილი